

საზღვაო მონაცემთა მენეჯმენტი “SeaDataCloud”

კახაბერ ბილაშვილი^{1,2}, თორნიკე რაზმაძე², ვაჟა ტრაპაიძე^{1,2}, ზურაბ სავანელი²

ელ.ფოსტა: kakhaber.bilashvili@tsu.ge

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

²ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ოკეანოლოგიურ მონაცემთა მართვის (მენეჯმენტის) არსებული ფილოსოფია სტრუქტურა და მიდგომა მსოფლიო ოკეანის დაკვირვების სისიტემის პარარელურად ჩამოყალიბდა. ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკომისიის “HORIZON 2020” პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტს „SeaDataCloud“-ს რომელიც წარმოადგენს დასრულებული საერთაშორისო პროექტების SeaDataNet 1 -ს და SeaDataNet 2-ის მესამე ფაზას. პროექტი, როგორც ინტეგრირებული კვლევის ინფრასტრუქტურული ინიციატივა, უზრუნველყოფს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის კიდევ უფრო განვითარებას, ადაპტირებულს, როგორც ფრაგმენტარული დაკვირვებების ბაზების გამოყენებაზე, ასევე მომხმარებლის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება მონაცემთა შესახებ ინფორმაციას (მეტადატა), საბოლოო პროდუქტს და ინტეგრირებულ მომსახურებას.

უკანასკნელ დრომდე, საზღვაო მონაცემები, რომელთაც ასეულობით ორგანიზაცია მოიპოვებს, ძნელად მისაღწევი რჩება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ოკეანოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესებას, კომუნიკაციის ერთიანი სისტემის შექმნას და დახვეწას. ევროგართიანების მიერ მიღებული საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში მოცემული ეკოსისტემური მიდგომის საფუძველი სწორედ ოკეანოგრაფიული მონაცემებია. აღნიშნული დირექტივა, ასევე, წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევროგართიანების ასოცირებული წევრის საზღვაო პოლიტიკის, სახელმძღვანელო დოკუმენტს. პროექტი მოწოდებულია განახორციელოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ვირტუალური და ფიზიკური ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაცია ოკეანოგრაფიული მონაცემების მართვის საქმეში.